ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:
12 თვით . . 10 მ. — კ.
11 ,, . . 9 ,, 50 ,,
10 ,, . . 8 ,, 75 ,,
9 ,, . . 8 ,, — ,,
8 ,, . . 7 ,, 25 ,,
7 ,, . . 6 ,, 50 ,,
6 ,, . . 6 ,, — ,,
5 ,, . . 5 ,, 50 ,,
4 ,, . . 4 ,, 75 ,,
3 ,, . . 3 ,, 50 ,,
2 ,, . . 2 ,, 75 ,,
1 ,, . . 1 ,, 50 ,,

ივერია

№ 4 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 4

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და ამიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ახალი განცხადება

1905 წლის 14 იანვრიდან

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.	„ივერია“	ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.

წელიწადი ოცდა მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით

და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტური ეკონომიური და ისტორიული წერილები უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები და დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა და სხვა **ილუსტრაციები.**

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან., ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 12 (აბონემენტის გარეშე).

სახაზინო თეატრი

პარასკევს, 7 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქმ. და 7 სურ., დე-კურსელისა, თარგმ. ვ. აბაშიძისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათ.

მზადდება წარმოსადგენად: «კრიჭინა», «იულიოს კეისარი», «რუი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია. მორიგე რეჟისორი კ. მესხი.

ხუთშაბათს, 6 იანვარს 1905 წ.

ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

რაუტი

საკონცერტო განყოფილებითა და სცენის მოყვარულთა წარმოდგენით. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ვ. მ. ამირაჯიბი, ქ. ბ—ძე, ნ. ა. პაპაიანი, ნ. პ. [illegible]ძე. ბ-ნნი: ვილშაუ. *⁎*, ა. ი. ყანჩელი, მ. ფ. ქორიძე, ნასიძე და სხვანი.

გულ-ამოჭრილი კაბა ქალთათვის და ფრაკი სამოქალაქოთათვის სავალდებულო არაა; სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფთ დაწესებული ფორმა უნდა ჰქონდეთ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

შესასვლელი ბილეთები 2 მან. 10 კ. შეიძლება დროითვე მიიღოს მსურველმა რაუტის დიასახლის-სკოლის" გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისაგან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 106) ხოლო რაუტის დღეს—კრუჟოკის სადგომში.

1905 წელს

„მოგზაური“

გამოვა ყოველ კვირეულ გაზეთად,

ახალის სრულის პროგრამით და მიმართულებით. ფასი იგივე 5 მანეთია წელიწადში, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ ნაწილათაც შემოიტანოს: 3 მანეთი ხელის-მოწერის დროს და დანარჩენი 2 მანეთიც პირველ მაისისათვის. პირველი ნომერი გამოვა კვირას, 16-ს იანვარს. თბილისში ხელის-მოწერა მიიღება „**მოგზაურის**“ რედაქციაში (Тумановскій переулокъ № 38) და წიგნების მაღაზიებში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებმა წერილები და ფული უნდა გამოგზავნონ ფოსტით ამ ადრესით: Тифлисъ, Редакція „Могзаури“.

რედაქტორ-გამომცემელი ივანე პ. როსტომაშვილი.

თბილისის სამარხი კასის

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ, რომ დეკემბერში გარდაიცვალა ამავე კასის ორი წევრი: 1) **მიხეილ სიმონის ძე ხორბალაძე** და 2) **ექვთიმე ბეჟანის ძე დავითაია**, რისთვისაც კასის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს ორი კვირის განმავლობაში, თითოზე 1 მან. 25 კაპ., სულ 2 მან. 50 კაპ.

ვინც ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანს ზემოხსენებულ 2 მან. 50 კაპ., მას გადახდება **ჯარიმად ზედ მეტი კიდევ ერთი მანეთი**.

ფული უნდა წარადგინონ გამგეობის წევრ სოსიკო მერკვილაძესთან.

(ქაშვეთის ქუჩა, წიგნის მაღაზია «**ცოდნა**». (3—1).

კვირას, იანვრის 9, ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზედ, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა.

(3—1)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

პორტ არტური. «ნაც. ცეიტ.»-ი სწერს, რომ რუსეთის გავლენა აზიაში ნამდვილ ძალაზედ კი არ იყო დამყარებული, არამედ იმ ლეგენდაზე, ვითომ რუსეთი უძლეველი სახელმწიფო ყოფილიყოს. ამ ლეგენდის ბრალი იყო, რომ მშიშარა ჩინეთმა რუსეთს მანჯურია დაუთმო და კინაღამ პეკინიც რუსეთის მფარველობას გადასცა. ეხლა კი პორტ არტურის აღებამ სამუდამოთ გაანადგურა ეს ლეგენდა. ეს ამბავი მთელს ქვეყანას მოედება და აზიელებზედ უდიდეს გავლენას იქონიებს (ნ. ვ.).

—

გენერალს სტესელს ნოგისთვის უთქვამს, ეხლანდელ ომის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ რუსებმა იაპონელ ჯარის კაცის ნამდვილი ღირსება არ იცოდნენო (ს.).

—

«ბერ. ლოკ. ანც.»-ის კორესპონდენტი, რომელიც ნოგის ლაშქარში იყო, პორტ არტურის უკანასკნელ დღეების შესახებ სწერს: გენერალმა სტესელმა რაკი დაატყო, რომ იაპონელების ახალ გამარჯვების გამო პორტ არტურის დაცვა შეუძლებელი და იყო, ნოგის კაცი გაუგზავნა და მოლაპარაკება დაიწყო. ამ დროს ახალ ქალაქის დასავლეთით, ლიაოტეშანისაკენ მზად იდგა რუსების ერთი რაზმი—3,000 კაცი გენერალის ფოკის უფროსობით. ფოკს დავალებული ჰქონდა, ლიაოტეშანის მთაზედ ადი და იქ გამაგრდიო. სტესელიც ამ რაზმს უნდა მიჰყოლოდა. ამ დროს მოლაპარაკება შესწყვიტეს, მაგრამ იაპონელებმა ეს ხერხი გაიგეს, მედგრად წინ წაიწიეს და ფოკის რაზმს ლიაოტეშანის გზა მოუჭრეს. შემდეგ,—სწერს კორესპონდენტი,—იაპონელები რუსებს ხიშტებით დაერივნენ, ფოკი დასჭრეს და სტესელი და დანარჩენი ჯარი კი დაატყვევეს (ნ.).

—

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. «ტაიმ.» ს სამხედრო მიმომხილველი რუსეთისა და იაპონიის ფლოტის შესახებ სწერს: თუ რუსეთის მეზღვაურებმა დიდ ყალიბიან ზარბაზნების მოხმარება კარგად იციან, როჟესტვენსკის საქმე არც ისე უიმედოა, როგორც ამბობენ. ტოგოს აქვს 4 ჯავშნოსანი, როჟესტვენსკის კი 5. რუსებს 27 დიდ ყალიბიანი ზარბაზანი აქვთ, იაპონელებს კი—18. სამაგიეროდ იაპონელებს 40 საშუალო ყალიბის ზარბაზანი აქვთ, რუსებს კი—15. მომავალ ბრძოლაში გამარჯვება იმ ადმირალს დარჩება, რომელიც უფრო კარგად და ხელოვნურად მიატრ-მოატრიალებს თავის გემებს და რომელსაც დახელოვნებული და გამოცდილი გემს უფროსები ეყოლება. ტოგოსათვის საჭირო არ არის მალაკკის წყლებში როჟესტვენსკის ძებნა, რადგან ტოგოს უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ ფლოტის თავშესაფარი და სამოქმედო ბაზა ახლო აქვს. როჟესტვენსკი ეცდება, რომ ტოგოს ესკადრას აშორდეს და ვლადივოსტოკს მიაღწიოს. თუ მაინცა და მაინც ორივე ფლოტი ერთმანეთს გაშლილ ზღვაში შეხვდება, ბრძოლა აუცილებელი იქნება, საქმე კი იმით გათავდება, რომ ორივე მოპირდაპირეს ბევრი გემი დაეღუპება. როჟესტვენსკი უნდა ეცადოს, რომ უბრძოლველად ვლადივოსტოკს მიაღწიოს, ტოგო კი უნდა ეცადოს, რომ როჟესტვენსკის შეებრძოლოს და ვლადივოსტოკამდე არ მიუშვას. ჩემის აზრით,—სწერს მიმომხილველი, ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის ჩრდილოეთით დაუცდის და იქნება ვლადივოსტოკსაც ალყა შემოარტყას. (რ. ვ.).

—

ერთმა იაპონელმა საზღვაო აფიცერმა „დეილ ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტს უთხრა, იაპონია დამშვიდებით ელის ადმირალის როჟესტვენსკის ესკადრას. თუ როჟესტვენსკი მართლა შორეულ აღმოსავლეთში ამოვიდა, ისეთი საზღვაო ბრძოლა მოხდება, რომლის მსგავსი მთელს მსოფლიო ისტორიაში იქნება არც კი მომხდარიყოს. იაპონია ამ ბრძოლისათვის მომზადებულია და მოუთმენლად ელის (ნ. ვ.).

—

„რუს. სლ.“ ს ვლადივოსტოკელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: ადმირალი სკრიდლოვი მეზღვაურებს გამოემშვიდობა და უთხრა, ამ ახლო ხანში ვლადივოსტოკში დიდი ამბები მოხდება და მაგრად იყავითო (რ. ს.).

—

რუსეთის და იაპონიის ფლოტი. ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან ტოკიოდან: იაპონელებს არა სჯერათ, რომ ის ხმა, ვითომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას უკან აბრუნებდნენ, მართალი იყოს. იაპონელები ამბობენ, თუ ეს ხმა გამართლდა, მაშ პეტერბურგში შეუგნიათ, რომ ადმ. როჟესტვენსკის არ შეუძლიან სხვა მაშველ ესკადრის დაუხმარებლად ადმ. ტოგოს ესკადრასთან ბრძოლაო. იაპონელები მაინც ჰფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა უკან არ დაბრუნდება, სადმე დადგება, მაშველ ესკადრას მოუცდის და თავის მეზღვაურებს გაავარჯიშებს საზღვაო საქმეშიო. ერთმა იაპონელმა მეზღვაურმა სთქვა ამის თაობაზე: «იაპონია დინჯად მოუცდის ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის მოსვლას შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში. მალე რომ მოსულიყო, მშვენიერის საზღვაო ბრძოლით გავუმასპინძლდებოდით. ეხლა კი მომავალ ბრძოლისათვის უნდა მოვემზადნეთ. როგორც წინად, ისე ეხლა რუსის ესკადრისა სრულობით არ გვეშინიანო». («რ. ლ-»).

—

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რუსეთმა მოლაპარაკება გამართა ჩილის მთავრობასთან ფლოტის სყიდვის თაობაზე. იაპონიამ გაიგო ესა და ჩილის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა, თუ რუსეთს ფლოტს მიჰყიდით, დაუყოვნებლივ ომს გამოგიცხადებთო. ჩილის მთავრობას შეეშინდა და რუსეთთან მოლაპარაკება მოსპო. მაშინ რუსეთმა არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას სთხოვა, რამდენიმე სამხედრო გემი მომყიდეო. იაპონიამ არგენტინასაც ასეთივე ულტიმატუმი წარუდგინა. ულტიმატუმის მიღების შემდეგ არგენტინამ რუსეთთან მოლაპარაკება შესწყვიტა (რ.).

—

«ნოიე ფრაიე პრესე»-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: ვიცე-ადმირალმა ფალკერზამმა დეპეშა გამოუგზავნა რუსეთის საზღვაო მინისტრს, ორს ჩემს კრეისერს მაშინები იმდენად დაუზიანდა, რომ ძველ მაშინების მაგივრად უსათუოდ ახალი მაშინები დასჭირდებათო. ამას გარდა ადმირალი მცოდნე მაშინისტების გამოგზავნასაც თხოულობს. (ო. ნ.).

—

ადმ. ფალკერზამი წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მეორე რაზმს უფროსობს. ეს რაზმი მეწამულ ზღვიდან გავიდა და კუნძულ მადაგასკარისაკენ გაემართა, როგორც დეპეშებიდანა სჩანს.

—

«ნოვოსტი-»ს კორესპონდენტი იუწყება ბერლინიდგან: საზღვაო საქმის მცოდნე ხალხისა და სპეციალისტების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ იაპონელებმა წყნარ ოკეანეში ბატონობა უცილობლად დაიმკვიდრეს და, ვიდრე ომი არ გათავდება, ეს ბატონობა არ მოეშლებაო. ბერლინში ფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას უკან დააბრუნებენო.

წვრილი ამბები. „დეილ მეილ“-ს სეულიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ

ჩრდილოეთ კორეაში რუსებსა და იაპონელებს ცხარე ბრძოლა მოუხდათო. ბრძოლის ბოლოს იაპონიის არტილერიამ რუსებს უკან დაახევინა. რუსები აირდაირივნენ და უწესრიგოთ ხიენიენისაკენ გაიქცნენ. ინგლისელები ამბობენ, ეს ბრძოლა იმის ნიშანია, რომ იაპონელებმა ვლადივოსტოკისკენ გალაშქრება დაიწყესო (ს.).

—

„კენ. ცეიტ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა, შევადგინოთ 300.000 კაცისაგან ახალი ლაშქარი, რომელმაც კორეია უნდა დაიჭიროსო.

—

ავსტრიელ გენერლის აზრი პორტ არტურის შესახებ. ავსტრიის არტილერიის ინსპექტორს გენერალ ალფრედ ფონ-კროპაჩეკს «ნოიე ვინერ ცაიტუნგ»-ს თანამშრომელთან უსაუბრნია პორტ-არტურის აღებაზე და, სხვა შორის, უთქვამს: პორტ არტურის აღება არა თუ მარტო რუსეთს, მთელს ევროპასაც ასწავლის ჭკუას. ამ ხანგრძლივ ბრძოლას პორტ არტურთან დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თუ რამდენად მძიმეა ეს ბრძოლა, ეს იქიდგანაც სჩანს, რომ პორტ არტურთან მოპირდაპირეებმა დაძველებულ ხერხსაც კი მიჰმართეს, ამ ბრძოლის სიძნელის გაგება მხოლოდ სპეციალისტს არტილერიის საქმის მცოდნეს შეუძლიან. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდი ზარალის მოტანა შეუძლიან მარტო ერთ ზარბაზანსაც კი...

თანამშრომელს უთქვამს, იაპონელებმა დიდი გულადობა გამოიჩინეს პორტ არტურთან, რუსები სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარასა და ტყვიას, მაგრამ იაპონელები მაინც უშიშრად წინ მიდიოდნენო.

— ეგრეც უნდა ყოფილიყო! უთქვამს გენერალს დ რუსის ჯარის გულადობაც ქებით მოუხსენებია.. ციხეს ყველაზე უკეთესად სალდათის მკერდი იცავს, მაგრამ სამხედრო ტეხნიკა ეხლა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის მოხმარებასაც თხოულობს და იაპონელებმა შესანიშნავად აასრულეს ეს მოთხოვნილება ძნელი წარმოსადგენია, თუ რა განვითარებას მიაღწიეს იაპონელებმა. აბა მოიგონეთ, 10 წლის წინად როგორ ეომებოდნენ ჩინეთს. იაპონელებმა ძველი ჭეშმარიტება დაამტკიცეს: ძლიერი ისაა, ვინც ძლიერ მტერთან იჩენს ძალას. იაპონელები ჩინეთის ომში გამოიცადნენ და ეს გამოცდილება ეხლა ჩვეულებრივის სიდინჯით გამოიყენეს. არა თუ მარტო პორტ არტურის აღებით, იაპონელმა მანჯურიაშიაც ისახელეს თავი და საპატიო დიდება მოიპოვეს. ეხლანდელ ომში არტილერია პირველ როლს თამაშობს და ამას იქით ხომ ეს როლი უფრო გაძლიერდება. არტილერიას ეხლა გულ-და-გულ ბრძოლის დროსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, რასაკვირველია, უკანასკნელ წამს ქვეითა ჯარი სწყვეტს ბრძოლის ბედს. მტრის საბოლოოდ დამარცხება მხოლოდ ქვეითა ჯარს შეუძლიან... ძნელი გამოსაცნობია, რა გავლენას იქონიებს ომის მომავალ მიმდინარეობაზე პორტ არტურის დაცემა. რუსეთს ძლიერ გაუტყდა სახელი და ამიტომ არა მგონია, რომ პორტ არტურის აღებით ომი დასრულდეს (ნ. დ.).

—

მუკდენში. „ბერლინერ ლოკ. ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: რუსის ლაშქრის მთავარ სადგომში პორტ არტურის აღების ამბავი მარშალ ოიამას წერილიდან ვაიგეს. იაპონიის მთავარ სარდალმა წერილი გამოუგზავნა გენ. კუროპატკინს და პორტ არტურის დაცემის ამბავი შეატყობინა. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მუკდენში არ ელოდნენ, რომ პორტ არტური ასე მალე დაეცემოდა. პირიქით, ბოლოს დროს ცნობები მოდიოდა, რომ პორტ არტური კიდევ კარგა ხანს გასძლებსო (ნ. დ.).

ახალი ამბავი

საჭირო განმარტება. ჩვენის გაზეთის ახალი განცხადება ხელის-მოწერის მიღებაზედ ზოგს სულ სხვანაირად გაუგიათ, ვითომ გაზეთი მხოლოდ 14 იანვრიდან გამოვა და მანამდე კი შეჩერებული იქნებაო. ეს მტკნარი შეცდომაა, გაზეთი შეუჩერებლივ გამოვა 14 იანვრამდე ძველის რედაქციით, ხოლო ამ დღიდგან კი განახლებულის რედაქციით, გადიდებულის ფორმატითა და 12 საპრემიო წიგნის დამატებით გამოვა.

⁂ რედაქციამ მიიღო კედლის კალენდარი 1905 წ. შედგენილი და გამოცემული კ. თავართქილაძის მიერ.

⁂ **სამრევლო სკოლების ახალი პროგრამმა**, როგორც ამას წინად ვსწერდით, უკვე დაამტკიცა უწმ. სინოდმა. ამ ახალ პროგრამმის ძალით, საგნების ნუსხიდან (распредѣленіе уроковъ) ქართული ენა გამოტოვებულია. შეტანილია მხოლოდ: საღმრთო სჯული, რუსული ენა, ანგარიში და გალობა. საღმრთო სჯული იმ სკოლებში, სადაც ყველა მოსწავლე ერთის ტომისაა, უნდა ასწავლონ ბავშვების ენაზე, სადაც არეულია—რუსულ ენაზე რუსული ენის სწავლება შელცელის სახელმძღვანელოთი იქნება. სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ შელცელის სახელმძღვანელოები უკვე მიიღო და ამ სახელმძღვანელოების მეთოდიკები დაუგზავნა მასწავლებელთ გასაცნობად. თვითო სახელმძღვანელოების გაგზავნა საბჭომ მომავალ სამოსწავლო წლის სეკდემბრისათვის გადასდო.

⁂ **ახალი ქართული პიესები:** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის სცენაზე ქართულად შემდეგ პიესების წარმოდგენისა: „ერიქინა“, კომედია 5 მოქ. თხზ. კეიზერისა, თარგ. ი. ახალშენიშვილის მიერ; „მეზობლები“; დრამა 4 მოქმ. თხზ. ი. რამიშვილისა, „ჩვენი ნაცნობები“, კომედია 1 მოქ. თხზ. კ. დოდაშვილისა, და „ბრძოლა არსებობისათვის“, თხზ. გაბრუაშვილისა.

⁂ **ელექტრონის ტრამვაის გეგმა.** ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა გეგმა დიდუბეში გასაყვანად განზრახულ ელექტრონის ტრამვაისა. დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას დაამტკიცოს გეგმა, რადგან უსახელო საზოგადოება ამ ცოტა ხანში აპირებს მუშაობის დაწყებას.

⁂ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება.** 3 იანვარს, ა. პ. ფიშერის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება. თავმჯდომარემ აცნობა კრებას გარდაცვალება ორის წევრის—ანანოვის და ტარსაიძესი. ანანოვი 37 წელიწადი საზოგადოების წევრად ითვლებოდა და ბევრი საქმე გააკეთა საზოგადოებისათვის. დიდი ღვაწლი მიუძღვისო, განაგრძო თავმჯდომარემ; ექიმ ტარსაიძესაც როგორც ოკულისტი, იგი ცნობილი იყო მთელს კავკასიაში; 22 წლის განმავლობაში განსვენებული მონაწილეობას იღებდა სამკურნალო საზოგადოების საქმეებშიო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ხსოვნას. შემდეგ ექიმმა ი. ე. გამბურგერმა წაიკითხა მოკლე მოხსენება.

⁂ **ჟურნალ «მოგზაურის» რედაქტორს** ი. პ. როსტომაშვილს ნება მიეცა თავისი ჟურნალი ყოველ-კვირეულ გაზეთად გადააკეთოს.

⁂ 13 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სამუილ იხილჩიკოვისა და 17 სხვა კაცისა, რომელთაც რკინის გზის ყალბ ბილეთების დამზადება ჰბრალდებათ. ამ საქმის გამო დაბარებულია 139 მოწმე და 10 ექსპერტი, ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ლ. სტალინსკი, მ. ო. გრუზენბერგი, ტურკევიჩი კლანქი და სხვანი.

⁂ 2 იანვარს ტფილისში უეცრად გადაიცვალა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატერიალურ ნაწილის უფროსის თანაშემწე პ. გრაბოვსკი.

⁂ **საფილოქსერო კომიტეტის მოხსენება.** სოჭის ოლქის ოთხ-ხუთ სოფლის ვენახებს რაღაც სენი გასჩენია. ამ სენის გამოსარკვლევად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა გაჰგზავნა აგრონომი საასაკოვი, რომელიც უკვე დაბრუნდა და თავისი მოხსენება საფილოქსერო კომიტეტს წარუდგინა. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, აღნიშნულ სოფლებში ფილოქსერა არა ყოფილა. მიზეზი ვენახის გაფუჭებისა ყოფილა ვაზის სიდამპლე, მილდიუ და ოიდიუმი. ბესარაბიის გუბერნიის იმ ადგილებიდან, სადაც ძალიან არის ფილოქსერა გავრცელებული, ბევრნი არიან გადმოსახლებულნი სოჭის ოლქის ადლერის საზოქაულოში. გადმოსახლებული გლეხები კავშირს არა სწყვეტენ თურმე ძველ ადგილის მცხოვრებლებთან, იწერენ სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზებს, ხეხილეულობას. ნერგს რადგან შესაძლებელია ამ რიგად სოჭის ოლქშიაც გავრცელებულ იქმნას ფილოქსერა, ბ-ნ სააკოვის აზრით, საჭიროა თვალ ყურის დევნება. კომიტეტმა დაადგინა აღკრძალოს ბესარაბიიდან ნერგების გადმოტანა.

⁂ **ტფილისის გუბერნატორი** ამ დღეებში უნდა გამგზავრებულიყო კახეთს. როგორც გავიგეთ, გუბერნატორი აღარ აპირებს წასვლას.

შეცდომის გასწორება

გუშინ ახალ ამბად დაბეჭდილია «ოქონის საზოგადოებაში ქარ-ბუქმა დაახრჩო 74 გლეხი» უნდა იყოს 14 გლეხი და სხვა.

«რუსეთში» მეშვიდე ამბად დაბეჭდილია ტომსკის ერთ-ერთ მოსწავლეთათვის», უნდა იყოს «ერთ-ერთ სასწავლებლის მოსწავლეთათვის» და სხვა.

საქართველო

ს. ქედა (ქვედა აჭარა) ჩვენს აჭარას ზამთარი ნამეტანი ნაადრევი აქვს წელს. წინა წლებშიაც იცოდა ადრე თოვლმა მოსვლა, თითქმის მოსავალზედ გაგვითოვდებოდა ხოლმე, მაგრამ ადნებოდა და მერმე ისევ კარგს დარებს წასწევდა; წელს კი რომ გათოვდა ნაადრევათ, გაჩერდა და თუ არ უმატებს და უფრო არ ჰხდება ამინდი, გაკეთება აღარ ეტყობა. ყანის აღება, როგორც იყო, კი მოვასწარით, რაცხა ცოტა იყო, მაგრამ ყურძენი კი სანახევროდ ხეზე დაგვრჩა მოუკრეფელი თუმც ისიც ჩვეულებრივზე ნამეტანი ნაკლები იყო წელს.

აჭარის სიმდიდრე არის ხილეულობა კაკალი და თაფლი. ესენი წელს, წინა წლების მოსავალთან შედარებით, შეიძლება ვსთქვათ, რომ არ მოვსლია. საზოგადოდ მოსავლობა ყველაფრისა ნაკლები იყო წელს, მაგრამ ხის ნაყოფს კი, თითქმის სულ ცოტა, ამიტომ აჭარელი კაცი წელს ძალიან დაწეულია წელს არც გასაკვირველი, რადგანაც საწყალს ჩვენს კაცს ყველაფერი საყიდლად აქვს: ტან-საცმელი, ფეხ საცმელი, საჭმელი, შეშა და, გარდა ამისა, გადასახადებიც ბლომად აწევს კისერზედ. ამეებს ყველას ფარა უნდა, ზოგს საყიდლად და ზოგსაც გადასახდელად, ოჯახიდგან კი გასაყიდი არაფერი აქვს და მოთხოვნილება კი თავისას არ იშლის

ჩვენში ზამთარი სანატრელი რამ არის სიმშვიდ სიწყნარისათვის მხოლოდ არ გვიწყობს ბუნება ხელს, რომ ზამთარს საზამთროდ მომზადებული შევხვდეთ. ან კი როგორ უნდა შეხვდეს ჩვენი კაცი მომზადებული ზამთარს, როცა ყველაფერი ძვირია და ნამეტნავად შეშა. ერთი საჟენი შეშა ძალიან ხათრი შეიძლება თხუთმეტ მანათად იყიდო (ამ ფულში ორ მანეთ ნახევარიდგან სამ მანეთამდინ არის ტყის ბაჟი საჟენზე), და რადგანაც ერთი საჟენის ყიდვასაც ვერ შესძლებს უმეტესობა, ამიტომ შიმშილით გამწარებულს სიცივით აკანკალებს. და რომ ამ გაჭირებაში არ იყოს ჩვენი აჭარელი, ზამთრის სამდურავს რავა იტყვის ვინმე, რადგანაც ჩვენი აჭარისათვის
ზამთარი ბაირამი არის სიმშვიდ-სიწყ
რისათვის და ავკაცობის შეერთებისათვ
შემჩნეულია, რომ როგორც ხეები
იღვიძებს და შეფოთვლას დაიწყებს,
შინ ავკაცობაც იღვიძებს, და როცა
იცრცვნება ფოთლისაგან, მაშინ ავ-კაც
ბაც ისპობა.
როგორც ამას წინად ვსწერდი, ჩვენ
კაცის კვლა წელს ჩვეულებრივზედ მ
ტია. ამას წინად სოფელ დანდალო
მცხოვრებს მოლა-ლომან არძან-ოღლ
მოუკლეს შვილი. ნოემბრის უკანასკნელ
რიცხვებში წავიდა თვითონ მოლა-ლ
მან არძან-ოღლი, დაეცა მისის შვილ
მკვლელის ძმას, მოკლა და თვითონ
გავარდა ფირალად. ჯერ-ჯერობით იმ
ლება. ადგილობრივი პოლიცია ძალი
გულიანად ეკიდება ამისთანა საქმეებ
მოსპობას, მაგრამ იმდენს ვერაფერ
აწყობს, რადგანაც გამოჩვეული აჭარ
ლი ამ გვარ საქმეებში კარგად იფარა
თავს. მოლა-ლომან არძან-ოღლის გად
ვარდნის შემდეგ კი სიმშვიდეა ამ ჩვე
ქვემო აჭარაში.
ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ქე
დის უჩასკის ნაჩალნიკი ვ. გ. სალოვიო
ვი გადაიყვანეს კინტრიშის უჩასკის ნა
ჩალნიკათ და ქედაში კი, მის თანამდე
ბობას დროებით ასრულებს სამმართვე
ლოს მწერალი ი. პ. სერგეევი. ბ. სალო
ვიოვი ძალიან ყურადღებას აქცევდ
ადგილობრივ მცხოვრებლების ყოფა
ცხოვრების გაუმჯობესობას იმედია არ
ნაკლებ კაცს გამოგვიგზავნის მთავრობ
მის მოადგილედ.—ამ თვის თორმეტ
სოფელ ქედაში იყო ყრილობა „სლო
ვესნი სუდის“ დეპუტატების ამორჩევ
თაობაზე, მაგრამ ყრილობამ თავის და
ნიშნულებას გზა აუარა და საქმე კ
რისთვისაც იყო ყრილობა, ისევ ძველ
კალაპოტში დასტოვა, რადგანაც ძველ
დეპუტატების მომხრეებმა, მეტად დასძ
ლიეს ყანთარს და საქმე ხალხის ხმ
უმეტესობაზე აღარ გადასწყდა, რის შემ
დეგაც ყრილობა გულ-ნაკლული დაიშა
ლა. თუ თავიანთ ჭკუაზე უნდოდათ საქ
მის გადაწყვეტა, ჩვენ რაღას გვიბარებ
დენ ყიამეთ ამინდშით.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

რუსეთი

თავადი მეშჩერსკი «გრაჟდანინ»-ში იუ
წყება, პეტერბურგში ხმები დადის, თავა
დი სვიატოპოლკ-მირსკი თანამდებობა
თავს ანებებსო.

— ყოვლად საზიზღარი და დამამცირე
ბელი საქციელი ჩაუდენია ვარშავის ერთ
ერთი სკოლის დარბაზში ბუნების მეტყვე
ლების ერთს პროფესორს, რომელიც
თურმე ლექციას უკითხავდა მასწავლებელ
კაცთა და ქალთა ლექციაზე დასწრები
სასწავლებლების ინსპექტორი თანაშემწე
ებით. ბევრთა განსაცვიფრებლად, ლექ
ტორს-პროფესორს უცებ ჩაუმატებია სი
ტყვაში, ბოტანიკა უფრო გასაგები
ქრისტიანეთათვის, ვიდრე ებრაელებისა
თვის, რომელსაც მატერიალური სარგებ

ფელეტონი

ზღვის პირას

(შელლი).

მზისა სხივები ანათებს ლაჟვარდს,
ტალღათ თამაში იტაცებს თვალსა
და დღე სპეტაკი, ნარნარ-წითელი,
ნათელს უგზავნის მთების მწვერვალსა.
მთლად გაფრთხობია ქვეყანას ძილი,
სიამით გააქვს ძგერა ხალხის გულს,
ქარი, ფრინველი და ზღვის ღუღუნი—
ერთად უმღერის ყველა გაზაფხულს

—

წყლის ბალახთ დაჰკრავს წითელი ფერი,
თანაც არხევენ ლამაზ თავებსა,
შორს კი ზღვის ტალღებს მრავალ-ფეროვანს,
კამკამი გააქვს, ვით ვარსკვლავებსა.
აქ, სადაც მალავს ზღვა თვის ღელვასა
და მიიმღერის აზვირთებული,
ობლად ვუხვდები მე გაზაფხულსა
და არ სჩანს ჩემს გარს არც ერთი სული!

—

ვაჰმე! ჩემს სულში სიბნელე სუფევს,
გულში არ ბუდობს ნეტარი გრძნობა
და არასოდეს არ მღირსებია
ნაზი ალერსი და თანაგრძნობა!
ვერც კვლავ ვეგემე ბედნიერებას,
აღარ ფიქრიც ვერ გამახარებს,
ვითა მსწავლულისა, ვინცა ოცნებით
მთელსა სამყაროს ხელში ატარებს.
არ ვარ აღზრდილი შვება-დიდებით,
არც განმიცდია სიამის ძალა.
სხვანი ლაღობენ. . მე კი წილად მხვდა
შხამით და გესლით სავსე ფიალა!

—

მაგრამ ამ ადგილს სევდა ნელდება
და ნათელს იღებს, ვით სივრცე ამ წყლის,
გულში უძლევი სურვილი ჩნდება,
რომ მოვსპო დღენი მწარე სიცოცხლის,—
აქ, სადაც დაჰქრის ნიავი ლხენით
და გადაშლილა წინ ზღვა უძირო,
მსურს, ვით შრომით მოღლილმა ბავშვმა,
მთელი ვაება გამოვიტირო
და ველოდო მას დღისა ნათელს ქვეშ,
როს განვისვენებ ამ ზღვისა პირსა
და ლაჟვარდოვან ზვირთთა ღუღუნით
ტკბილად მიმღერებს ზღვა ძილის-პირსა.

—

იქნება მაშინ მეც დამინანონ,
ოდეს ვიგემებ საუკუნო ძილს,
ისე, ვით აწ მე სევდით ვივსები,
როს ვუმზერ დღესა, მკრთალსა, ფერმიხდილს!
დამინანებენ... მაგრამ კი მაინც
მე არა ვგავარ დღესა გამქრალსა,
ის თუმცა კვდება, მისი ნათელი
სოფლადა სტოვებს ბრწყინვალე კვალსა.

რ. ბებიაშვილი.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.

(დასასრული *)

ახლა მივეხოთ ამ გაზეთის ქებულ ფელეტონისტს ბ-ნ გოდ. ც.......ძეს. ეს ახლად მოვლენილი «პუბლიცისტი» დიდის რიხით და ზაქთით გამოესარჩლა ბანკის დამღუპველ საბჭო-გამგეობას, ამ ათი დღის წინათ, (იხ. «ცნ. ფურცელი» № 2700) და უძღვნა მათ ვრცელი ფელეტონი სათაურით «ქუთაისის საურთიერთო ბანკი». სწორეთ იმავე თუ მეორე დღეს გამოვიდა გაზ. «ახალ მიმოხილვა»-ში იმავე შინაარსის წერილი, ფსევდონიმით გივი მიქელაძე. ეს ორი, ქართულ რუსული, წერილი ისე გავლაარიან ერთმანეთს კონსტრუქციით და შინაარსით, რომ ძალაუნებურად გაგონებს, რომ ორივე წერილი ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი და ორივე ავტორი ერთი და იგივე პირიაო. ვინ ბრძანდება ნეტა ეს ორადი? ვინ იმალება ამ ორ ფსევდონიმში? ეს ის რაინდი ხომ არ ბრძანდება, რომელმაც მალე გადააჭარბა ოინებში თავის დიდებულ ოსტატს, ქუთაისის კალიოსტროს და ისე გათამამდა, რომ გამოაძევეს ერთ-ერთი ბანკიდან და ამხანაგობიდან? ეს ის რაინდი ხომ არ ბრძანდება, რომელმაც ორი წლის „მოღვაწეობით“ ჩაიდო ჯიბეში 20,000 მანეთამდე? ეს ის რაინდი ხომ არ ბრძანდება, რომლის იდეალია ლოიოლას მოძღვრება და სწუხს, რომ «ვერ არის ჯერ გაწაფული ეზუიტი“?. და თუ ისაა, რა გიკვირთ, თუ პატარა პანამისტს შებრალდა წაქცეული დიდი პანამისტები და მოიწადინა მათი წამოყენება! რა გიკვირთ თუ მოწაფეს შებრალდა ოსტატნი! ეჰ, ისევ სჯობს გავუშინჯოთ სამწერლო კიჟი ამ ახალ რაინდს და გავეცნოთ მის ლოგიკას!

ის იწყებს თავის ფელეტონში ლათაიებს მთავრობის რევიზორის ძაგებით და უწოდებს მის ანგარიშს ცალმხროვანს, «საპოლემიკო წიგნაკსა» და „პოლიციის საბრალმდებლო ოქმს“. იგი (ე. ი. რევიზორი) აუხსნელათ სტოვებს ბანკის ეხლანდელ მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებსო (?). ქუთაისის ბანკსავით შეცდომა მოუვიდა სხვა ბანკებსაცო, მაგ., ტფილისის, ფოთის და სხ. რაკი ჭიათურაში ქვის ფასმა დაიწია, მთავრობას ტარიფი უნდა დაეკლოო. ბანკის გამგეობას საქმის წარმოებაში მოუვიდოდა შეცდომა, მაგრამ შეუცდომელი აბა ვინ არისო. შავ-ქვაზე გაცემულ სესხში ყველა იმავე შეცდომას ჩაიდენდა, რაც ქუთ. ბანკს მოუვიდაო. ქუთაისის ინტელიგენციამ მორთო კიჟი-
ნა, გამართა კრებები, დაიწყო ჩხრეკა
ძიება, გაუტეხა სახელი ბანკს, დააფრთხ
ხალხი და ამ თავის ქადაგებით გამო
წვეულს ბანკის უკიდურეს მდგომარეობა
აბრალებდა გამგეობასო ამ რიგათ მა
მიაყენეს ბანკს ისეთი ზარალი, რომლი
დაახლოვებითი ანგარიშიც შეუძლებე
ლიაო. ეს პირები გახლდათ უმეტესა
ქუთ. ვექილებიო. ამ რიგათ ამ პირებმ
დაუკარგეს ბანკს ნდობა, ამის აღდგენ
კი მეტად ძნელიაო და სხვა ამგვარები.
ნეტა რას წარმოადგენს ეს ახლად მოვ
ლენილი «პუბლიცისტის», ამ პანამისტთა
ვექილის, «გამართლება»? არაფერს ქვეყა
ნაზედ. იგია მხოლოდ ტლანქი სოფისტიკა
ბავშური ტიტინი და ცილის წამება ქუთ
ინტელიგენციის მიმართ.
«ცნ. ფურცლის» ამ ფელეტონის წა
კითხვის დროს უნებურად წარმომიდგ
თვალწინ ბანკის გამგეობის მოხსენება
მგზავსება ამათში მეტად დიდია; იგივე
კრიზისი, იგივე რევიზორის საყვედური
იგივე ტარიფის არ დაკლება, იგივე სხვ
ბანკების შეცდომა და სხ. ერთი სიტყ
ვით კაცს ჰგონია, შეიძლება ფელეტონიც
იმავე კოლექტიურმა ხელმა დასწერა
რომელმაც შეადგინა გამგეობის მოხსე
ნებაო, და თუ მათ არ დაუწერიათ ე
ფელეტონი, ვიღაც ფრიად ახლო პი
რის დაწერილი კი არის. ეს ყოველ ექვ

---

*) იხ. «ივერია» № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის მიღება არ შეუძლია მეცნიერების ამ დარგიდანაო, რადგან ბოტანიკა—ვექსილი არ არის, არც სარგებლიანი ქაღალდებიო. ლექციაზე ებრაელნი მასწავლებელნი ქალები და კაცები ბლომად ყოფილან, რომელთაც პროტესტი განუცხადებიათ მაგრამ ინსპექტორს «დაუმშვიდებია», ვისაც ლექციის მოსმენა არ გინდათ, გარედ გადითო. პროფესორს სიტყვები არ განუმარტნია, მხოლოდ უფრო რიხით გაუმეორებია. ეჭვს გარეშეა, ყოველი კეთილ-გონიერი და პატიოსანი კაცი დაჰგმობს ამ სამარცხვინო საქციელს.. პროფესსორისას.

— ოდესის სალიტერატურო-საარტისტო საზოგადოების მოქმედება 29 დეკემბრიდან, გრადონაჩალნიკის განკარგულებით, შეჩერებულ იქმნა ახალ წესდების შემუშავებამდე. ასეთი განკარგულება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ოთხშაბათობით იმართებოდა საზოგადო კითხვები, რომელიც დიდად აკმაყოფილებდა მსმენელებს.

— მინისტრთა კომიტეტის ზოგიერთმა წევრებმა საჭიროდ დაინახეს, აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ მინისტრები პასუხის მგებელნი იყვნენ სახელმწიფო სასამართლოს წინაშე. (რ. ვ.).

— «ნაში დნი»-ს სიტყვით, 12 იანვარს პეტერბურგში გამართულ იქმნება ბანკეტი ყველა უმაღლეს სასწავლებლის პროფესორთა მიერ.

— კაჩურას, რომელსაც ხარკოვის გუბერნატორის მოკვლა უნდოდა, ჯერ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, შემდეგ კი სასჯელი სამუდამო კატორგით შეუცვალეს. კაჩურა შლისსელბურგის ციხიდან არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს, სადაც დარჩება პოლიციის მხედველობის ქვეშ. (რ. ვ.).

— მინისტრთა კომიტეტს დედათა საზოგადოებებმა მიმართეს თხოვნით, მიეცეთ ამომრჩევლის ხმა ქალაქისა და ერობის თვით-მმართველობებშიო. (რ. ვ.).

— შინაგან საქმეთა სამინისტრო, გაზეთების სიტყვით, წელს შეუდგება რუსეთის განაპირა ადგილებში არა-რუსთა მმართველობათა გამოკვლევას.

— გაზეთები გადმოგვცემენ უფრო დაწვრილებით ცნობებს პრესსის მდგომარეობის შეცვლის გამო. მინისტრთა კომიტეტში უმრავლესობას საჭიროდ დაუნახავს, როგორც გუშინაც ვწერდით, ერთგვარი წესები იქმნას შემოღებული სატახტო და პროვინციის გაზეთებისათვის და აგრეთვე პასუხის მგებელი იყოს პრესსა სასამართლოს წინაშე. უბედურება ის არის, რომ ახალი ცვლილებაც შეუტანიათ დებულებაში, და ამასთანავე დაუტოვებიათ ძველი დებულების მუხლები, რის გამოც გამოსულა ანახრონიზმები და წინაალმდეგობანი უცვლელად დარჩენილა, სხვათა შორის, ის მუხლიც, რომელიც ავალებს ცენზორს კარგად ადევნოს თვალ-ყური წერილების ენასა და სიტყვების წყობას. უკანასკნელი კრება პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებლად 31 დეკემბერს უნდა ყოფილიყო. შემუშავებული პროგრამმა დასამტკიცებლად დაუყოვნებლივ იქმნება გაგზავნილი უმაღლეს მთავრობასთან. (რ. ვ.).

— კიევის ჟურნალისტთა კრებას გადაუწყვეტია შუამდგომლობა აღძრას უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეთ პეტერბურგსა, ან მოსკოვში სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრების მოწვევისა. კრებას აგრეთვე საჭიროდ დაუნახავს შეიცვალოს ახლანდელი წესები პრესსის შესახებ.

— ომიანობის გამო ექიმები რუსეთში ძალიან საჭირონი არიან. ამიტომ მთავრობამ განიზრახა ეგზამენები ახლავ დააჭერინოს მედიკურ ფაკულტეტის იმ სტუდენტებს, რომელნიც უკანასკნელ კურსზე არიან. ოდესის სტუდენტთა გუნდს «რუს. სლოვო»-ს სიტყვით, უარი განუცხადებიათ ამ დაჩქარებულს ეგზამენებზე. ისინი ამბობენ, ჯერ მომზადება გვაკლია ექიმის მოვალეობის შესასრულებლადაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«სლოვოს» მოჰყავს ანგარიში, თუ რა ზარალი მოუვიდა რუსეთს იაპონიასთან ბრძოლაში ამ ერთის წლის განმავლობაში. დავუგდოთ ყური თვით «სლოვოსა»:

„თითქმის ორმოცი ათასი კაცი—მთელი კორპუსი—გასწყდა მდინარე შახესთან, როდესაც ჩვენ ვცადეთ სტევი ბრძოლა; დაახლოვებით ამოდენივე ზარალი მოგვივიდა მთლად ამ ბრძოლის დროს, დაწყებული ტიურენჩენთან დამარცხებიდან დღევანდელ ჩვენს მუკდენში „ჯდომამდე; ოცდაათი ათასი დაჭრილ-დაკუწული, დაავადებულნი გამოაკლდნენ უპატრონოდ მიტოვებულს გმირ პორტ არტურის მეციხოვნე ჯარსა. მთლად კი ასი ათასს აღემატება რაოდენობა დაღუპულთა და დახეიბრებულთა, ახალ-გაზდათა სიცოცხლისა, ჩვენის მოზარდი თაობის საუკეთესო ყვავილისა, დედა—სამშობლოს ძეთა!—ეს ზარალი დაუბრუნებელია.

თითქმის ასი მილიონი ღირებულება ჩაძირულის და აფეთქებულის გემებისა (კიდევ კარგი, რომ მტერს დარჩა მთლიანად მხოლოდ «რეშიტელნი და რამდენიმე უმნიშვნელო გემი); თითქმის ოცდაათი მილიონი დალნის გასამაგრებლად, რომელიც დაკარგულია რუსეთისათვის, თუ პორტ არტური იაპონელების ხელში დარჩება. დალნიზე დახარჯული ფული მაინც დაკარგულია, რადგანაც, თუნდაც ჩვენ დავიბრუნოთ «საიჯარადრო უფლება» კვანტუნში, იაპონელები წასვლისას, რასაკვირველია, ქვა-ქვაზე არ დააყენებენ არც დალნიში, არც პორტ არტურში, ხოლო ჩვენ მოგვინდება ხელახლად აღვაშენოთ და ხარჯი გავსწიოთ. ამას უნდა დავუმატოთ ღირებულება ციხე-სიმაგრეებისა არტურში, დამწვარის, ანუ მტრისგან დავლად აღებული საწყობებისა და სხვა ქონებისა ლიაოიანსა, ფინხუანჩენსა, დაშიცაოს, ინკოუსა, ხაიჩენსა და სხვა ადგილებში,—ყველა ეს, რასაკვირველია. ადიდებს დღევანდლამდე დაღუპულ სახელმწიფო საშუალებასა და ხალხისაგან გამოღებულ ფულსა, რომელიც ორას მილიონს აჭარბებს»...

შემდეგ გაზეთი სამწუხარო კითხვას იძლევა: როდის დავიბრუნებთ ყველა ამასაო? და პასუხს თვითვე იძლევა: არასოდეს! ასე გაშინჯე არც მაშინ, თუნდ იაპონია ჩვენ ძალოზედაც ევამარცხოთო.

მართალია ხალხს კიდევ მეორე ტყავი გასძვრება, მაგრამ ჭკუას კი ასწავლის. გაჭირვებამ გაწევა და გაქცევა იცის.

—

რუსეთს ბევრი ბრალსა სდებს, ცუდად ექცევი დაპყრობილ ქვეყნებსაო. „ნოვ. ვრემ.-“იაში კი ვინმე სკალკოვსკი ამართლებდა რუსეთის მოქმედებასა და პოლიტიკას ამ ქვეყნებში და სხვათა შორის, ამბობდა: «საქართველო ნებით შემოუერთდა რუსეთს, ამიტომ მას სანანური აღარა აქვს რაო». „პეტერბურ. ვედ.»-ში სკალკოვსკის პასუხს აძლევს ზ. ციციშვილი

რადგან საქართველო, ეკითხება ზ. ციციშვილი სკალკოვსკის, რუსეთს თავის ნებით შეუერთდა, ნუთუ ამისათვის უნდა აიძულოთ დაჰკარგოს ენა, სარწმუნოება და ყველა ის, რაც ნამდვილად მისი კუთვნილობაა და რომელსაც შეუძლია აღამაღლოს და მიაღწევინოს კულტურის უმაღლეს იდეისათვის?

არ ვეხები სკალკოვსკის მიერ ცუდად ხსენებას ქართველ მეფეებისას, რომელნიც ვითომ ვიდაც ბრბოთი დაიარებოდნენ და გადასახადს ჰკრეფდნენ გადატაკებულ საქართველოში, მაგრამ არ შეიძლება არა ვკითხოთ სკალკოვსკის: რა უნდა თქვას, როდესაც ასახელებს საქართველოს სიდატაკესა და სიმშილს? იქნება ამით უნდა დაამტკიცოს, ამ ჟამად საქართველო ეკონომიურად აყვავებულიაო?

«ამ კითხვაზე პასუხის მოცემის დროს სკალკოვსკი უთუოდ ღირსი იქნება შებრალებისა».

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

3 იანვარი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ კუროპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე 2 იანვრის თარიღით: «დღეს ორი მოხსენება მივიღე ჩვენი ცხენოსანი ჯარის მოქმედების შესახებ. 28 დეკემბერს დასჩხეს და თოფით დახოცეს ნახევარ როტა ქვეითა ჯარისა და ნახევარ ესკადრონი დრაგუნებისა, მხოლოდ შემოღამებამ მისცა მცირედ-ღა ნაწილს იაპონელებისას საშუალება წყალში გასვლით გადარჩენისა. ღამე ოც დეკემბერს ჩვენმა მზვერავებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი, დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და გადააგდეს ლიანდაგიდან ორი მატარებელი ორის ორთქლმავალითა. 29 დეკემბერს სროლის შემდეგ აიღეს ნიუ ჩუანი. ქალაქში მყოფმა როტამ და ორმა ესკადრონმა მაშინვე დასცალეს ქალაქი. თუმცა როტამ მოასწრო ჩუმად წასვლა, მაგრამ მაინც იპოვნეს, სდიეს ხშირ ბინდამდე და სრულიად დაამარცხეს. ამას გარდა ჩვენმა ცხენოსნებმა გზა-გზა შემუსრეს წვრილ წვრილი რაზმები. ამ აღნიშნულ ორი დღის განმავლობაში ხელთ იგდეს სულ 500 ურემი სანოვაგითა, რომელიც იაპონელებს მიჰქონდათ. ტყვედ წამოიყვანეს ერთი აფიცერი და 14 ჯარის-კაცი. ჩვენ ამ დროს სამი აფიცერი მოგვიკლეს და 10 დაგვიჭრეს, 15 ჯარის-კაცი მოგვიკლეს და 19 დაგვიჭრეს. 29—30 დეკემბერს მზვერავებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი სოფელ ჩენრთან, 6 ვერსზე ინკოუდან. 30 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე, ერთი რაზმთაგანი მივიდა ინკოუს სადგურთან. ჩვენმა არტილერიამ სვლა დაიწყო სადგურს ინკოუს და იმის ახლო მყოფ საწყობებს ცეცხლი გაუჩინა. დაღამებისას რაზმის ნაწილმა დაიქვეითა და დასავლეთის მხრიდან სადგურზე იერიში მიიტანა. ცეცხლის სინათლეზე შენიშნეს იაპონელების რაზმი, რომელმაც ძლიერი თოფის სროლა დაუწყო მოიერიშეებსა; ხალხი არხებში ჩაიმალა, მერე ხელ-ახლა წავიდნენ იერიშითა და მივიდნენ რკინის გზის ლიანდაგამდე. ბოლოს შენიშნეს, რომ დაშიჩაოდან ძლიერი რაზმი მოდიოდა იაპონელებისა. ჩვენები ცოტანი იყვნენ ველარ შესძლებდნენ სიმაგრის აღებასა და უკან დაიხიეს. ინკოუსთან დახოცილი და დაჭრილები თითქმის ყველა გამოიტანეს. ინკოუში საწყობები მთელი ღამე იწოდა. ამ ბოლო დროს ღამე ცივია, დღე კი მზიანია, მდინარეებზე ყინული სიჩქარით დნებაო.

პეტერბურგი. 22 დეკემბერს 1904 წ. ხელმწიფე იმპერატორის ყოფნის დროს ქ. მინსკში გუბერნიის თავად აზნაურობამ მიართვა მისს უდიდებულესობას 26 ათასი მან. ომის საჭიროების მოსახმარად. მიიღო ეს შეწირულება, მადლობა გადაუხადა მინსკის თავად-აზნაურობას და შემდეგ უბრძანა ხელმწიფე იმპერიტორმა კარის მინისტრს: 26 ათასი მან. გადაეცეს ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ მყოფ სამზრუნველოს შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარის კაცთა სახლობათათვის იმ პირობით, რომ ამ ფულიდგან მიეცეს შემწეობა მხოლოდ პორტ არტურის მცველთა სახლობებსა.

ტოკიო. გენერალ მინშჩენკომ ლიაოხეზე გადასვლით სამხედრო მოქმედების საზღვრები დაარღვია და მით ჩინეთის ნეიტრალიტეტიც დაარღვია. იაპონიის მთავრობა რუსის ნოტაზე მიცემულს პასუხში ამ გარემოებას უჩვენებს.—კუროპატკის ლაშქარში მყოფი სამხედრო აგენტები მალე წავლენ პორტ არტურს ქალაქისა და ფორტების სანახავად.—გენერალმა სტესელმა ნაგასაკის გუბერნატორი და თანამდებობის პირნი მიიღო, ის 5 იანვარს, ორხშაბათს, წავა საფრანგეთის გემითა.

4 იანვარი.

მოსკოვი. გენერალ ტრეპოვს ტყვია ესროლა მოროზოვის სავაჭრო სკოლის მოსწავლე პოლტორაცკიმ, 19 წლისამ ტყვია მოშხამული აღმოჩნდა.

კოლომბო. 3 იანვარი. აქ მოსულმა გემმა «კაზანმა» მოიტანა ამბავი, 31 დეკემბერს კვილონს და მადრასის შორის შენიშნულ იქმნა ოთხი გემიო. ჰფიქრობენ, იაპონელთა სატრანსპორტო გემები იყვნენ, ნახშირით დატვირთულიო.

ბერლინი. 3 იანვარი. „ნორდ. ალ. ცეიტ.“-მა გამოაქვეყნა დეპეშები, გაგზავნილი იმპერატორის ვილჰელმის მიერ გენერლებთან (სტესელსა და ნოგისთან) მათდამი ნაბოძებ ორდენების გამო. იმპერატორი სთხოვს სტესელს, გთხოვთ ორდენით დასაჩუქრებაში დაინახოთ ის დიდი გაკვირვება, რომელმაც მოიცვა მთელი გერმანიის არმია მას უკან, რაც დაინახა თქვენი გმირობაო. ნოგის თან გაგზავნილი დეპეშაც ამ შინაარსისაა. სტესელმა მადლობა გადაუხადა იმპერატორს. ამის გამო დეპუტატთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, სტესელმა და ნოგიმ დაიმსახურეს დიდი სახელი, რომელიც არ წაიშლება მაშინაც კი, როცა ჩვენი ძვლები მიწად იქმნება ქმნილიო. უნდა ვუმადლოდეთ იმპერატორს, რომ ასეთი ნიშნები უბოძა გამოჩენილ გმირებსაო.

პარიჟი. (საკ. კორესპ.) „ტანი“ მეორე ესკადრის ბედზე ლაპარაკობს და დასძენს, იმისი უკან დაბრუნება ხელ-ფეხს გაუხსნის იაპონელებს ვლადივოსტოკის წინაალმდეგ სამოქმედოდ და დაამკვიდრებს ზღვაზე მისს ბატონობასაო. გაზეთის აზრით, უნდა შესდგეს ესკადრის წინსვლა და საფუძვლიანად მოემზადოს ახალის ომისათვის. მეორე ესკადრა თვით დაიღუპება, მტრის ესკადრის ერთ ნაწილს თუ შემუსრავს, ხოლო ამას ექნება აზრი და მნიშვნელობა მაშინ, თუ მეორეს ფეხდაფეხ მიჰყვება მესამე და მეოთხე ესკადრა. „ჟურნალი დე დება“ იმ აზრისაა, რომ ინგლისს არავითარიმე ხელშეკრულობა არ მიეცეს ისეთი, რომ რუსეთის ინტერესებს შორეულ აღმოსავლეთში ვნება მისცეს.

ბაქო. უკანასკნელ ამბების გამო ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭომ მიმართა მიწად-მოქმედების მინისტრს თხოვნით, გადაიდოს 31 იანვრისათვის ნავთის მწარმოებელთა კრება. გაფიცვა მუშებისა გათავდა. საქმის მდგომარეობა მტკიცეა. ჯერ არა სჩანს, თუ წაუმატებენ რასმეს.

პარიჟი. გოლის კომისია ხვალ პირველად შეიკრიბება.—3 იანვარს გაზეთმა «ლიბერტემ» დაბეჭდა ლონდონიდან მიღებული დეპეში, რომელშიაც ნაუწყებია, იაპონიამ წინადადება მისცა სიამის მთავრობას, მიჰყიდოს სიამმა კუნძული კოტრონი, რომელიც მდებარეობს სიამის ყურეს შესავალთან. იაპონიას უნდა აქ გამართოს შესამჩნევი სტრატეგიული სადგური. ინგლისმა ენერგიული წინაალმდეგობა გაუწია ამ პროექტის განხორციელებასა.

პარიჟი. გამოჩენილი სამხედრო გემების ამშენებელი ამერიკელი ნიკსონი ნეაპოლს მოვიდა, მალე პარიჟსაც მოვა. აქ რუსის რწმუნებულს მოელაპარაკება, რომ რუსეთს ნაღმოსნები აუშენოს.—გენერალი სტესსელი პორტ-საიდს წავიდა.

პეტერბურგი. ოფიციალური. დეპეში გენ.-ადიუტანტის კუროპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე 3 იანვრის

გარეშეა. რადგან ასეა, ჩვენ არ შევჩერდებით აქ, არ გავიმეორებთ იმას, რაც უკვე ვთქვით მეხუთე წერილში, როცა გავარჩიეთ გამგეობის მოხსენება. იქ თქმული სრულიად გამოდგება ამ ფელეტონის საპასუხოთ. მხოლოდ ეს ფელეტონი ორი სამით განსხვავდება გამგეობის მოხსენებიდან. ფელეტონში ჩაუმატებიათ ის, რაც მოხსენებაში ჩართვით იქნებოდა უტაქტობა. ნეტი რა არის ეს ორი რამ? ესენი გახლავთ: 1. გამგეობის შეცდომა და 2. ბანკის ზიანის მთავარ მიზეზათ ქუთაისის ინტელიგენციის და კერძოთ ქუთ. ვექილების გამოყვანა.

ქუთაისის ინტელიგენციას და კერძოთ ქუთ. ვექილებს ჩემი გამოსარჩლება არ ეჭირვებათ! მათი ენა და კალამი მეტად მჭრელია და შესაფერ პასუხსაც გასცემენ ყველას სადაც რიგია, მხოლოდ არ შემიძლია სრულიად უყურადღებოთ დავტოვო ეს უცნაური ცილის წამება. ქართული ანდაზა: „ჩემი შენ გათხარიო და გული მოგიკალიო“, სწორეთ ამისთანა კაცებზედაა გამოჭრილი, როგორც ბრძანებულა ბ-ნი ორ.ადი, გოდ. გ...ძე—გივი მიქელაძე. ამის კლიენტებმა «სახელოვანმა» საბჭო-გამგეობამ ბანკი დალუპეს, წესდება გაქელეს, შვიდ კაცს ნახევარი მილიონი მანეთი უთავაზეს, მთელი საზოგადოება თავის ახლო მეგობრებს უმსხვერპლეს და ყოველივე ამის დამნაშავე თურმე ეს გმირები კი არა, ქუთაისის ინტელიგენცია ყოფილა! მოდი და ნუ გაგეცინება ამგვარ ბავშურ ლოგიკაზედ! ეს სწორეთ იმას გავს, რაც ერთჯელ კულაში მომხდარა, ე. ი, მიქელაძემ ქალს აკოცა, ურიას თითი მოსჭრესო. მიქელაძეთ კი ირქმევ თავს «ცნ. ფურცლის» რაინდო, მაგრამ თლათ მიქელაძურს ნუ კი იზამ! ახლა მეოცე საუკუნეა და ეგ ინკვიზიცია არ გამოდგება. საბჭო-გამგეობამ ბანკი დალუპეს, ქუთ. ინტელიგენცია, ან კერძოთ ვექილები კი რა შუაშია, ერთი მითხარი! სად არის აქ ლოგიკა! ნუ თუ დანაშაულად რაცხ იმას, რომ ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ ამ ინტელიგენციამ მხოლოდ ამ ბოლო დროს ამოიღო ხმა, გამართა კერძო კრებანი, აირჩია კერძო კომისიები და მოსთხოვა ანგარიში ბანკის საბჭო-გამგეობას?! მაშ რა რიგათ უნდა მოქცეულიყო შენის აზრით? უნდა ყოფილიყო სულ მუდამ ეგრე მუნჯათ და მით სულ ერთიან დაელუპა ბანკი?! ეს აჯობებდა?! სად არის სინდისი! სად არის ფხიზელი მსჯელობა! სადაა ლოღიკა? არა, ეს კი არ ჩაითვლება ქუთ ინტელიგენციის დანაშაულათ, რომ ამ ბოლო დროს მაინც ამოიღო ხმა და ფხიზლათ შეხედა საქმეს. არა, ამ ინტელიგენციას აქვს მართლაც დიდი დანაშაული და ეს დანაშაულია ის, რომ იგი დღემდე ვერ იცნობდა ქუთაისის პანამისტებს და როგორც ბანკი, ისე ზოგიერთი სხვა საქმეებიც ჩააბარა ამ ბაღდადის წმინდანებს, სწამდა ესენი ჭეშმარიტ მოღვაწეთ და პატიოსან კაცებათ, უკმევდა მათ გუნდრუკს და უგალობდა ზევსურებს. აი რაშაა ქუთ ინტელიგენციის ნამდვილი დანაშაული!

მთავრობის რევიზორი სასტიკად მოიქცაო, მისი ანგარიში პოლიციელის ოქმიაო, ბრძანებ, ჩემო პაწია რაინდო. მეცინება შენს ტიტინზედ, ჩემო კარგო, მაშ, გვიბრძანეთ ერთი, რა რიგათ უნდა მოქცეულიყო მთავრობას რევიზორი? უნდა გადაესვა თავზედ ხელი ბანკის საბჭო-გამგეობისთვის და ეთქვა: ყოჩაღ, რა კაი ბიჭები ყოფილხართ, რა კარგათ გიცინცლავთ ბანკიო?! ხმა! ეს «მკაცრი» რევიზორიც უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევიან საზოგადოთ ზოგიერთი ჩვენი სარევიზიო კომისიები? არა? ნუ თუ არ იცოდი, რომ მუდამ კოკა წყალს არ მოიტანს! ნუ თუ არ იცოდი, რომ არიან მისთანა რევიზორები, რომლებთან არ ჰრის არც გაშლილი სუფრა, არც დაპირება და არც ფეშკაშები! და თუ არ იცოდი აქამდე, ხომ სცანი ახლა! თქვენ პოლიციის ოქმებათ მიგაჩნიათ ადამიანის მართლმსჯელობა, გაბედულება და მიუკერძოება.. ეეჰ, გაჩუმდით მაინც! სირცხვილია!.. მადლობა შესწირეთ მთავრობის რევიზორს, რომ მას ბევრი რამ დარჩა უთქმელი; ვერც კერძო რევიზორებმა გამოარკვიეს სავსებით ყველაფერი; ვერც ჩვენ შევიძელით ყველაფრის თქმა. იქ იმ პანამისტთა ბუნაგში კიდევ ბევრი რამ ჯამბაზობა და მანქანებაა უკუნეთის რიდით დაფარული. მაგრამ ერთი დრო იქნება იმათაც გამოუჩნდება მთქმელი, ისინიც გამომზეურდებიან ქვეყნად და გააოცებენ საზოგადოებას ქუთათურ გმირთა ფარული გმირობანი. მანამდე კი დავუბრუნდეთ ისევ პაწია რაინდს.

— ბანკის საბჭო-გამგეობას მხოლოდ შეცდომა მოუვიდაო და აბა შეცდომა ვის არ მოუვაო! ხა, ხა, ხა.., რა ოხუნჯი რამა ხარ, ჩემო პაწია რაინდო! მხიარულად დამიბერდი, მხიარულათ! გმადლობ, ჩემო კარგო, რომ გამაცინე ამ ჯავრიან გულზედ. ჰა, როგორ იყო! კიდევ მითხარი! შეცდომა მოუვიდათო, ჰა!.. ხა, ხა... რა კარგია! შეცდომა მოუვიდათო... ხა, ხა, ხა... მაშ, ბანკის წესდების სისტემატიურად და ცნობიერად დარღვევა შეცდომა ყოფილა, ზავ-ქვაზედ მილიონ ორასი ათასი მანეთის სესხათ გაცემა შეცდომა ყოფილა, შაურის ნაცვლათ 7—8 კაპიკის ფუთ ქვაზედ ძლევა ჰიათურაში შეცდომა ყოფილა, სამი შაურის ნაცვლათ ფუთზედ 19 კაპიკის მიცემა ფოთში პ. წულუკიძისთვის—შეცდომა ყოფილა, სამი მილიონი ფუთი ქვის დაკლება საწყობ—ბაქნებზედ—შეცდომა ყოფილა 50% ქვის ნაცვლათ 47—48%-ის მიღება—შეცდომა ყოფილა, მეგობრებზედ კალთის გადაფარება და მათ წინააღმდეგ არავითარ ზომების არ მიღება შეცდომა ყოფილა, მათი თამასუქების პროტესტის არ გამობა შეცდომა ყოფილა, და ყოველივე ამით ბანკის ზიანი, ნახევარი მილიონის ზარალი და დაღუპვის კარამდე მიყვანა—ესეც შეცდომა ყოფილა. ახლა გვიბრძანეთ, გეთაყვა, თუ ყოველივე ეს შეცდომაა, რომელიღა ყოფილა დანაშაული?! განა დანაშაული მარტო აშკარა ქურდობა და კასსის გაცარცვაა! განა არ შეიძლება იყვეს აშკარა ქურდობა და აშკარა ბოროტ მოქმედებაზედ უფრო ოსტატური, მაგრამ ფარული ქურდობა და ბოროტ-მოქმედება?! შენ გკითხავ, ჩემო პაწია რაინდო, შენ ეს გეცოდინება, რადგან გეტყობა, რომ ოსტატობა და გამოცდილება არ გაკლია... ზეით ჩამოთვლილი მოქმედებანი არიან ან სრული უვიცობის, ან ბოროტ-მოქმედების ნაყოფი. ამდენ მავნე საქმეთა ჩამდენი ბანკის საბჭო-გამგეობა უნდა იყვენ ან სრულებით უჭკუო, უნიჭო და უმეცარი, ან ზნე დაცემული ავაზაკი. ორში ერთია, ან პირველი ან მეორე. ამ ორში რომელი ატესტატი გსურს მიართვა შენს კლიენტებს ამ საახალწლოთ ჩემო პაწია რაინდო? უფროთხილდი არ გაუწიო ქუთათურ პანამისტებს დათვის მეგობრობა..

სიმონ ქვარიანი.

თარიღით «დღეს მივიღე ამბავი ჩვენი ცხენოსნების მოქმედების შესახებ 1 იანვარს საღამოთი: 1 იანვარს დილით იაპონიის ძლიერი ქვეითა ჯარის რაზმმა და ცხენოსნებმა არტილერიით, ნისლის დროს, გარს შემოუარეს ჩვენი ცხენოსნების ერთს რაზმს, როდესაც ის დაემზადა ჩრდილოეთისაკენ წასასვლელად. შეიქნა ბრძოლა. ჩვენმა არტილერიამ ათას ნაბიჯზე დაუწყო იაპონელებს სროლა,დიდი ზარალი მიაყენა მტერსა, რის შემდეგ ცხენოსნები მწყობრად წავიდნენ ჩრდილოეთად. ამ ბრძოლაში ჩვენ დაგვაკლდა დაჭრილ-დახოცილნი 5 აფიცერი და 50 ჯარისკაცი. 1 იანვარს ცხენოსნებს შეუერთდა წინად გაგზავნილი მზვერავთა რაზმი, რომელმაც რკინის გზა და ტელეგრაფის ბოძები ააფეთქა სამი ვერსის მანძილზე დაშიჩოს ჩრდილოეთად.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის კრებამ, რომელიც 4 იანვარს იყო, გაათავა განხილვა 2-ე მუხლისა, უმაღლესის 12 დეკემბრის 1904 წ. თარიღით გამოცემულის ბრძანებისა, რომელიც შეეხება საერობო და საქალაქო დებულებათა გადაშინჯვასა.

კიევი. პოლიციამ შეიპყრო ტფილისის განყოფილების „ურბენის“ საზოგადოების ბუჰგალტერი, რომელმაც გაიტაცა 20 ათასი მანეთი.

ტოკიო. 1 იანვრიდან შეტაკებანი მოხდა ცენჩენთან, სადაც რუსებს—ძლიერი მაშველი ჯარები მოუვიდათ. ელიან რომ ისინი დიდის ძალით წამოვლენ წინაო.—გენერალი სტესსელი თავის შტაბით ნაგასაკიდან წავა რუსეთს.—გენერალი ოიაზოვა, მიკადოს ფლიგელ-ადიუტანტი, და გენერალ-მაიორი მურაკი, ფლიგელ-ადიუტანტი მემკვიდრე პრინცისა, წავლენ, რომ გაიცნონ ყოფა-მდგომარეობა ჯარებისა და მეზღვაურებისა.

ლონდონი. მიჰბაძეს «ტაიმსის» ცუდს მაგალითსა და სხვა გაზეთებმაც გაიმეორეს უსინიდისო ბრალდება პორტ არტურის დიდებულ დამცველთა შესახებ, რომელიც მათ მიაყენა რუსეთის მოძულე პრესსამ. ესეთი მეცადინეობა, რომ დაამცირონ გმირი მეციხოვნენი, რომელთაც თვისი გმირობა დაამტკიცეს, ზიზღსა ჰგვრის ინგლისის რიგიან ხალხსა. გოლანდიის გემი «ვილჰელმინა», რომელსაც ჩრდილოეთისაკენ ნახშირი მიჰქონდა, გუშინ იაპონიის ნაღმოსანმა შეიპყრო ცუსიმის სრუტეში.

პარიჟი. „ეკო დე პარი“-ს ეშინიან, რომ და არეულობა არ მოხდეს სიამსა და ინდო-ჩინეთშიო. აქაური მკვიდრნი აღაფრთოვანა იაპონელების გამარჯვებამა, რაც ძრიელ აწუხებს ინგლისელებს.—კომბის კაბინეტი სამსახურს ეთხოვება.

საღამოს დეპეშები

5 იანვარი.

პეტერბურგი. «მართებ. მოამბეში» დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის საყოველთაო წერილი იმ გუბერნიის უფროსებთან, სადაც შემდგარია საბჭონი საგლეხო კანონების გადასინჯვისათვის. წერილი სხ. შორის ამბობს: ,,ზოგიერთმა გუბერნატორმა მაცნობაო, რომ საგუბერნიო საბჭოებში მუშაობა შედგა, რადგან ზოგ საბჭოს წევრებს შორის აღიარა ფიქრი, რომ 12 დეკემბრის უმაღლესმა ბრძანებამ ერთიანად შესცვალა 1904 წ. 8 იანვრის უმაღლესი ბრძანება, ახალ საგლეხო კანონების გამო. ამიტომ საბჭოთა წევრებს უფიქრნიათ სამინისტროსთან დაწესებულის საბჭოს მუშაობანი საგლეხო კანონმდებლობათა გადასინჯვის გამო უსარგებლონი არიან და საჭიროა მოისპონოო. საჭიროდა ვრაცხ განვმარტო, რომ აღნიშნული ფიქრი გაუგებრობას გამოუწვევია და ამიტომ გავალებთ ყოველივე იღონოთ და საგუბერნიო საბჭოთა მუშაობანი განაახლოთ; შეასრულოთ დავალებული საქმე და სამინისტროში დანიშნულ ვადაზედ წარმოადგინოთ. მაცნობეს, რომ ზოგიერთს საბჭოთა თავმჯდომარეებს ნება არ მიუციათ თავისუფლად ლაპარაკისა ზოგიერთ წევრისათვის. საჭიროდ ვხედავ განვიმარტოთ, რომ საგლეხო კანონმდებლობათა გადისინჯვის გამო საკითხთა ყოველმხრივ გამორკვევისათვის დიდად საჭიროა სამინისტრომ მიიღოს საბჭოთა მოწონება კი არა მათ-და გაგზავნილ საკითხთა გამო, არამედ სოფლად ცხოვრების მცოდნე კაცთა აზრისა და შეხედულებათა“.

პარიჟი. 4 იანვარი. როჟესტვენსკის ესკადრა მადაგასკარიდან მიდის. გაზეთი «პატრი» შიშობს ბალტიის ესკადრის ბედ-იღბალისა გამო ინდოეთის ოკეანეში ცურვის დროს, მეტადრე ნახშირის შოვნის სიძნელისა გამო.

შანხაი. ჩინეთის მთავრობა უარჰყოფს ნეიტრალიტეტის დარღვევას რუსეთის შესახებ. ჩინელები ჩივიან—რუსელი შემოესივნენ ახალ ოლქში. იმათ ნამდვილად დაიპყრეს კაშღარი, რომბის გუბერნატორმა სთხოვა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს—აღძრას ლაპარაკი რუსების გასარეკად.

ტოკიო. პორტ არტურში აღებული ზარბაზნები გაშინჯეს და თითქმის ყველა გამოდგება იაპონელთა არტილერიაში სახმარებლად. რომელ ციხეებსაც იაპონელები არ მიჰხდომიან, დაუზიანებელნი არიან. ამით მტკიცდება, რომ კაპიტულიაციის პირობები რუსებმა წმინდათ შეასრულეს. ეხლა ლიაოხეს მარცხნივ რუსები აღარ არიან. ნიუჩუანში მშვიდობიანობაა. იაპონელები მეგობრულად დაუხვდნენ რუსის სალდათებს. ქალები საჩუქრებს და პაპიროსებს სთავაზობდნენ.

ნაგასაკი. 4 იანვარი. რუსის აფიცრებმა აქ ბევრი რამ ივაჭრეს, ჯარის კაცებს კი ფული არა აქვთ. სტესელი და ჯარის კაცნი სრულიად გამოკეთდნენ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან.

ლონდონი. იტოს სიძემ, ბარონმა სუიემატცუმ სთქვა, რომ მანჯურიის ცივი ჰავისა გამო მარტის ნახევრამდე, ანუ გასვლამდე დიდი ომი არ მოხდებაო.

პარიჟი. 4 იანვარი, მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა თავის სამსახურიდგან გადადგომის არზა.

ნაგასაკი. 3 იანვარი, «დეილი ექსპრეს». სტესელს უთქვამს კორესპონდენტისათვის „მე ძალიან ნასიამოვნები ვარ იაპონელთა ზრდილობიანის დახვედრითა და ქცევით ტყვეებთანაო. სანამ ყველაფერს პირათ არ მოვახსენებ ხელმწიფეს, ჩემს უკანასკნელს მოხსენებას ვეღარას დავუმატებო, რადგან პორტ არტურის დანებების მიზეზები სრულებით მაქვს ნათქვამიო,

მე ჯარში აღარ შევალ, სანამ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება; სიტყვა ჩამორთმეული აფიცრებიც ასე მოიქცევიან. ყველა აფიცერი თავის შეხედულებით, თავისუფლად იქცეოდა როცა პატიოსან სიტყვას გაძლევდა. დანარჩენმა აფიცრებმა ტყვეობა ირჩიეს თავის ჯარის კაცებთან. ჩვენი ძლიერება იყო პატიოსნება და შველის მხურვალე იმედი. ოკდომბრამდე მტკიცედ გვჯეროდა, რომ ბალტიის ესკადრა მოგვეშველებოდა, მერე კი იმედი გაგვიცრუვდა. 19 დეკემბრის კაპიტულიაცია შემდეგი იყო— იაპონელთაგან მაღალი გორის აღებისა, ერლუნშანის ციხისა, საალყო ზარბაზნების მუსრის გამვლები ყუმბარებისა, კონდრატენკოს სიკვდილისა და მძვინვარე სურავანდისა. აი ამ მიზეზებმა მოახდინეს კაპიტულიაცია. 19 დეკემბერს დილით შეკრებილმა სამხედრო საბჭომ ერთ ხმად დაადგინა საპატიო პირობით დავნებდეთო. ტყუილია, ვითომ მე წინააღმდეგი ვყოფილიყვე საბჭოს დადგენილებისა. ჩვენი მძლეველი იაპონელები ფრიად რაინდული მძლეველნი აღმოჩნდნენ. გენერალი ნოგი ყველაზედ კეთილშობილი კაცია». კორესპონდენტმა უთხრა სტესელს იაპონელების აზრით დანებების დროს თავი უნდა მოგეკლაო. სტესელმა გაიცინა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

30 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	89⅜ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ მამულთ ბანკისა	87 ყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	419 ნაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	325¼ წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	265½ წ. გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	82¼ მყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82½ მყიდ.
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5 7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасарді на* Тифлисъ противъ памятн. Воронцова წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—უორდანთოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებსა და სამარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

დიასამიძე ალექსანდრე,—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9 11 და საღამოთი 6—8-დე.

კბილის ექიმი ნ. ტ. ყუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვის. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

საქართველოს კალენდარი

1905 წ.

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—კალენდარი დასურათებულია 88 სურათით.—გარდა სხვა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია ვრცელი **სალიტერატურო** განყოფილება შემდეგის შინაარსით: სამშობლოსამდ ევდოშვილისა.—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—გოდება ე რაელთა, მისივე.—სიმღერა, ახობაძისა.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.—მადნის მთხრელები, კ. ჯაფარიძისა.—პატარა სიმღერები, დ. მეგრელისა.—სდუ არე მარე, ახოსპირელისა.—გოდება მაგდალინელისა, განდეგილისა.—ჩემს მეგო რებს, კ. გოგოლაძისა.—მწარე ღიღინი, შ. მღვიმელისა.—ეკალი მისივე.—შიღ ლერი, ი. გომართელისა.—ბატონყმობა ჩვენში.—გლეხების განთავისუფლება.— სპენსერი.—ნ. მიხაილოვსკი.—შორეული აღმოსავლეთის საქმეები.—ქალი და მ სი განათლება.—სიონიზმი და სხ.

ფასი კალენდრისა 70 კაპ.

გამოვიდა და იყიდება აგრეთვე ყველგან

1) ვრცელი **კედლის კალენდარი**, ფასი 50 კაპ.
2) ქართულ სიტყვიერების ისტორია, ა. ხახანაშვილისა, ფასი 1 მ. 25 კ.
3) რჩეული ლექსები ქართველ პოეტებისა, წ. II. ფასი 25 კაპ.

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყ ყველასთვის გასაგები ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა უკეთესთ ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამ კრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრ გული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭ ლია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის უდ 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის უდ მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (**съ налож.** შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს დის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-საცავში. ადრესი: **Тифлисъ. Книжная то говля, Іос. Зах. Имедашвили.** (10—10)

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმ

დრამა-ლეგენდა

ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემ ლი შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

1905 г. Таразъ XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій еженедневный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ въ прошедшіе XV лѣтъ. *Цѣль, направленіе и стремленіе* ТАРАЗА—распространеніе среди армянъ правильныхъ взглядовъ на красное, доброе и полезное.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ Газетные отдѣли ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промыш. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіены, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р., заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ и ежемѣсячн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: тифлисъ, Редакція жур ТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de Ia Revue TARAZ

Редакторъ-издатель Т. R. Назарьянъ

1905 г. Агбюръ XVI

Иллюстрированный на армянскомъ язы кѣ, единственный журналъ АГБЮР для *дѣтей, родителей и наставнико*

Задача журнала АГБЮРЪ—*пр вильное воспитаніе и обученіе подр стающаго поколенія, любовь къ прир дѣ, наукѣ и къ ближнему*. Богат программа журнала АГБЮРЪ дает полную возможность редакціи широ и многосторонне обхватывать вопр сы, интересующіе подрастающее п коленіе и ихъ родителей—наставн ковъ. Годовая плата жур. АГБЮР 3 р., заграницу 5 р *Премію* получ ютъ лишь тѣ изъ подписчиковъ А БЮРА, которые одновременно зап шутся и на *художественно-литер туръ еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗ*

Адресъ: Тифлисъ. Редакція жу АГБЮРЪ.

Tlflis, Caucase, Redaction de Revue AGBUR.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарья

Дозволено цензурою Тифлисъ, 5 января, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ домъарм. семинар